ხელშეკრულება საქონლის (თანმდევი მომსახურებით) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #60-7-122-737

ქ. თბილისი 16.11.2022 წ.

1. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2022 წლის 16 ნოემბერს, ერთის მხრივ **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-სა,** წარმოდგენილი მისი დირექტორის შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში, დირექტორთა საბჭოს წევრის გიორგი გელაშვილის (მინდობილობა #221356227) სახით (შემდგომში – ,,შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ **შპს „ჯი-თი ჯგუფს“** შორის, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევანი ლემონჯავას სახით (შემდგომში – ,,მიმწოდებელი’’), რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია მიაწოდოს ,,შემსყიდველს“ **სერვერისთვის საჭირო მოწყობილობები და აქსესუარები (თანმდევი მომსახურებით) (CPV-48800000;)** წინამდებარე ხელშეკრულების, მისი დანართი #1-ის (ფასების ცხრილი), დანართი #2-ის (ტექნიკური დავალება) და დანართი #3-ის (უსაფრთხოების წესები და პირობები) შესაბამისად;

2.2. დანართი #1, დანართი #2 და დანართი #3-ი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და სს „სსე“-ს სამეთვალყურეო საბჭოს 14.11.2022 წლის სხდომის №23 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს **3 992 895,80 (სამი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათორმეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება“);

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, არაუმეტეს 7 ეტაპისა, ფასების ცხრილის ძირითად პოზიციებზე, ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანაზღაურებისათვის სათანადო დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ანგარიშსწორებისათვის განსაზღვრული ვადის დადგომამდე საქონელზე (თანმდევ მომსახურებაზე) აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი” ვალდებულია ,,შემსყიდველის” წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადაში (რაც მოიცავს იმ პერიოდისათვის ხარვეზის გამოსწორების ან/და საქონლის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელ დროს), საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს აღმოჩენილი ნაკლოვანება ან წუნდებული საქონელი შეცვალოს ახლით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დააყოვნებს ანგარიშსწორების პროცესს იმ ვადით, სანამ მიმწოდებლის მიერ სრულად და ჯეროვნად არ შესრულდება ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულება;

3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 “მიმწოდებელი” ვალდებულია გადასცეს “შემსყიდველს” ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი (არ უნდა იყოს აღდგენილი და მეორადი) საქონელი, DDP საქართველო (Incoterms 2020) პირობით, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 170 (ას სამოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

4.2 საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში, „შემსყიდველი“ წერილობითი მოთხოვნით აცნობებს „მიმწოდებელს“ თანმდევი მომსახურების დაწყების შესახებ. „მიმწოდებლის“ მიერ თანმდევი მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს „შემსყიდველის“ მხრიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან და ობიექტზე პერსონალის დაშვებიდან არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

4.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდება უზრუნველყოს ტრანსპორტირებისა და შემსყიდველის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე ჩამოცლის ხარჯების გათვალისწინებით, შემდეგ მისამართებზე:

- საქართველო, ქ. თბილისი, ნაკადულის ქ. N2, სს "სსე"-ს ქ/ს "ნავთლუღი 220"-ის ტერიტორიაზე;

- საქართველო, ქ. რუსთავი, ჩათმის მთა, სს "სსე"-ს ქ/ს "რუსთავი 220"-ის ტერიტორიაზე.

4.4 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდება უნდა განხორციელდეს სამუშაო საათებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 09:00 - 18:00 სთ., ოფიციალური უქმე დღეების გარდა). თუ საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდება დაემთხვა არასამუშაო დღეს, მიმწოდებელმა მისი მიწოდება უნდა უზრუნველყოს მომდევნო სამუშაო დღეს;

4.5 ობიექტებზე დაშვების უფლების მისაღებად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიმართოს წერილობით. შემსყიდველი მიმწოდებლის ობიექტზე დაშვებას უზრუნველყოფს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი პროცედურების დაცვით;

4.6 მიმწოდებლის მივლინებულმა პერსონალმა საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდება უნდა უზრუნველყოს განაწესით ან/და განკარგულებით, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N3–ში განსაზღვრული უსაფრთხოების წესებისა და პირობების მკაცრი დაცვით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მოწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1–ის (ფასების ცხრილი), დანართი#2-ის (ტექნიკური დავალება) და დანართი #3-ის (უსაფრთხოების წესები და პირობები) შესაბამისად;

5.2 “შემსყიდველი” ვალდებულია:

5.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება;

5.2.2 შეამოწმოს საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მდგომარეობა ვარგისიანობაზე;

5.2.3 წერილობით შეატყობინოს “მიმწოდებელს” მიღების ან ექსპლუატაციის დროს საქონელზე (თანმდევ მომსახურებაზე) შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 ,,მიმწოდებლის” მიერ თანმდევი მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ,,შემსყიდველის” წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად ,,შემსყიდველის” მიერ მითითებულ მისამართ(ებ)ზე;

6.2 ,,მიმწოდებლის” მიერ თანმდევი მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართი N2-ის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად, სატენდერო წინადადებით შემოთვაზებული კვალიფიციური პერსონალის: **გიორგი ჭაიასა** და **ლადო ნინიკაშვილის** მიერ;

6.3 **თანმდევი მომსახურება გულისხმობს:**

- **ინტეგრაციას:**
  - მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმდევი ტექნიკური მომსახურება გადაწყვეტილებების სრული ინტეგრაციით შემსყიდველის IT თანამშრომლებთან ერთად.
    - აპარატურის ფიზიკური მონტაჟი და დაკაბელება;
    - აპარატურის ამოცანის შესაბამისად კონფიგურაცია, Firmware-ების ბოლო სტაბილურ ვერსიამდე განახლება და ლიცენზიების აქტივაცია;
    - მონაცემთა დამუშავების ცენტრალურ და სარეზერვო ცენტრებს შორის გაწელილი vSphere
    - ვირტუალიზაციის კლასტერის აგება და ტესტირება.
    - ბრანდამაურების Active / Active კლასტერი მოწყობა და ტესტირება.
    - არსებული DC ქსელის რედიზაინი და ახალ გადაწყვეტილებაში გაშვება.
    - Failover - ის მექანიზმების შემუშავება მწარმოებლის Best Practice - ზე დაფუძნებით.
    - ბრანმაურებზე პოლიტიკებისა და რულების განსაზღვრა სსე - ს ინფორმაციული უსაფრთხოების განყოფილებასთან შეთანხმებით.
  - მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის არსებული სერვისების მიგრაცია ახალ სისტემაზე, გატესტვა და წარმოებაში გაშვება.
  - შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი მოწყობილობა Witness - ის სერვერისთვის.
- **ტრენინგს:**
  - ყველა შეთავაზება უნდა მოიცავდეს ტრენინგებს სსე-ს თანამშრომლებისთვის.
  - ტრენინგი უნდა მოიცავდეს კურს(ებ)ს, რომელიც მოიცავს შემოთავაზებული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის კომპონენტების ძირითად, შუალედურ და გაფართოებულ ოპერაციებს, კონფიგურაციას, ტექნიკური მომსახურებისა და პრობლემების მოგვარების თემებს

- ტრენინგების ენა უნდა იყოს ინგლისური. პროვაიდერმა დამსწრეებს უნდა მიაწოდოს მომხმარებლის სახელმძღვანელი და დოკუმენტაცია.
- წინადადებაში ტრენინგის განყოფილება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - კურსების სია.
  - მოკლე აღწერა თითოეული კურსისთვის.
  - ხანგრძლივობა თითოეული კურსისთვის.
- ყველა სასწავლო კურსი უნდა ჩატარდეს ინსტრუქტორის მიერ.
- ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს სსე-ს შენობაში ან მიმწოდებლის/ტრენინგ პარტნიორის შენობაში:
- ყველა სასწავლო კურსი უნდა მოიცავდეს პრაქტიკულ ლაბორატორიულ სექციებსაც.

7. გარანტია და მწარმოებლის ტექნიკური მხარდაჭერა

7.1 “მიმწოდებელი” იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი (თანმდევი მომსახურებით) მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს;

7.2 შესაბამისი ექსპლუატაციის პირობებში ,,მიმწოდებლის“ მიერ მოწოდებულ საქონელზე (თანმდევი მომსახურებით) ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების ვადა არის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან:

- Active / Active HCI სისტემაზე მწარმოებლის 3 (სამი) წლიანი მხარდაჭერა;
- Backup-ის სისტემაზე მწარმოებლის 3 (სამი) წლიანი მხარდაჭერა;
- HCI - სისტემაში შემავალ კომუტატორებზე მწარმოებლის 3 (სამი) წლიანი მხარდაჭერა;
- Active / Active HCI სისტემა მოიცავს ვირტუალი ჰიპერვიზორის ყველა ლიცენზიას (VMware - ის შემთხვევაში - VMware ESXi, VMware vCenter) და არის 3 (სამი) წლიანი მხარდაჭერით;
- Active / Active HA ბრანდმაურებს მოყვება მწარმოებლის 1 (ერთი) წლიანი მხარდაჭერა.

7.3 ტექნიკური მხარდაჭერის პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები, ძალაშია მთელი მხარდაჭერის ვადის განმავლობაში, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა;

7.4 ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი რაიმე ხარვეზის ან შეუსაბამობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი ნაკლის/ხარვეზის აღმოფხვრა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ან წუნდებული საქონლის შეცვლა, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 150 (ასორმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

7.5 წუნის/ხარვეზის/დეფექტის/გაუმართაობის შემთხვევაში საქონლის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ,,შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ,,მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

8.2 “მიმწოდებელი” ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

8.3 ,,შემსყიდველის“ მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებენ სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SCADA-ს და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეები **ბელა რეხვიაშვილი** და **ირაკლი კოდუა;**

8.4 კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ეტაპობრივად, არაუმეტეს 7 ეტაპისა, ფასების ცხრილის ძირითად პოზიციებზე, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურების) მიხედვით;

9.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი არის დირექტორთა საბჭოს შესაბამისი წევრი ან / და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი;

9.3 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მოწოდებისას “შემსყიდველის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.3 პუნქტით განსაზღვრული პირები ამოწმებენ მოწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურების) შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში

,,შემსყიდველსა“ და ,,მიმწოდებელს“ შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიღებული საქონლის (თანმდევი მომსახურების) მიხედვით;

9.4 საქონელი (თანმდევი მომსახურებით) მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.

10. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

10.1 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა მიმიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

10.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 2,5%-ით;

10.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია გამოიყენება იმ ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო;

10.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში;

10.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში;

10.6 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია;

10.7 გარანტია უნდა იყოს უპირობო, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე;

10.8 შესრულების გარანტიის გამოყენების ან მისი სხა მიზეზით ამოწურვის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;

10.9 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის (საბანკო გარანტიის) გამოყენება არ ათავისუფლებს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 მუხლით განსაზღვრული მხარეთა პასუხისმგებლობის ვალდებულებებისაგან.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 ,,მიმწოდებლის“ მიზეზით საქონლის (თანმდევი მომსახურების) დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხარისხიანი საქონლის (თანმდევი მომსახურებით) სრულად მიწოდების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

11.2 ამ მუხლის 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო “მიმწოდებელს” გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ გამოასწორებს საგარანტიო ან/და ტექნიკური მხარდაჭერის პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზს ან არ შეცვლის საქონელს (თანმდევი მომსახურებით) ამ ხელშეკრულებით საგარანტიო ან/და ტექნიკური მხარდაჭერის პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის დადგენილ ვადებში - შესატყვისი ვადის გასვლიდან ხარვეზის გამოსწორების/საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შეცვლის დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

11.3 „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიმწოდებლი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

11.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას;

11.5 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და “მიმწოდებელზე” დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის“ მხრიდან ,,შემსყიდველისათვის“ 11.3 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ურთიერთობა მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, ხორციელდება საფოსტო გზავნილის ან ელექტრონული კომუნიკაციის გზით ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან ამ კონტრაქტის ფარგლებში უფლებამოსილი საკონტაქტო პირების (ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში) მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით;

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიანდგება;

13.3 ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის წარმოების პროცესში პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, საკონტაქტო საკითხების მითითებით ხორციელდება მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

14.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

14.2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

14.3 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

14.3.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.3.2 ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

14.4 ,,შემსყიდველს“ შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

14.4.1 თუ “შემსყიდველისათვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.4.2 ,,მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

14.4.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ “მიმწოდებლის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, ,,შემსყიდველის“ მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

14.4.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამმუხლის 14.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში “შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს “მიმწოდებელს” ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურების) ღირებულება.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. დავის განხილვა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. დავის განხილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

17.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე;

17.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება აღნიშნული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს **2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით,** ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში, საგარანტიო ვადის ბოლომდე.

18. ხელშეკრულების სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

18.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

18.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

19. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა

მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ

ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

20. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი”:	“მიმწოდებელი”:
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	შპს ,,ჯი-თი ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ.#2	ქ. თბილისი, მარჯანიშვილის #65
საიდ. კოდი: 204995176	საიდ. კოდი: 404494695;
ს/ს „თიბისი ბანკი“	ტელ: +995 599 202 696;
ბანკის კოდი: TBCBGE 22	ელ. ფოსტა: llemonjava@gtgroupe.ge
ანგარიშის №GE02TB0600000102467636	სს „თი ბი სი ბანკი“,
	ბანკის კოდი: TBCBGE22;
	ანგარიშის № GE35TB7478136080100003

დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში	დირექტორი
გიორგი გელაშვილი	ლევანი ლემონჯავა

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2022.11.16 15:50:36 +04'00'

GT Group LTD
Digitally signed by GT Group LTD
Date: 2022.11.16 15:09:51 +04'00'

დანართი # 1

ფასების ცხრილი:

ქვეკომპონენტების რაოდენობები (სვეტი 6) შევსებულია ყველა კომპლექტზე, ჯამურად.

N	შესყიდვის ობიექტი			განზ. ერთეული	რაოდ.	ქვეკომპონენტის ერთეულის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
	დასახელება	ტიპი ან/და მოდელი	მწარმოებელი კომპანია				
1	2	3	4	5	6	7	8
1	გამოთვლითი კვანძები 8 კომპ						
1,1	გამოთვლითი კვანძები	DL360 Gen10 Plus 8SFF CTO Server/HPE ProLiant DL360 Gen10 Plus 8SFF NC Configure-to-order Server	აშშ /HPE	ცალი	8	3 114,1026	24 912,8208
1,2		Xeon-Gold 5318Y 2.1GHz 24-core 165W Processor for HPE	აშშ /HPE	ცალი	16	4 652,2444	74 435,9104
1,3		HPE 64GB (1x64GB) Dual Rank x4 DDR4-3200 CAS-22-22-22 Registered Smart Memory Kit	აშშ /HPE	ცალი	192	4 690,2522	900 528,4224
1,4		HPE NS204i-p x2 Lanes NVMe PCIe3 x8 OS Boot Device	აშშ /HPE	ცალი	8	3 070,2538	24 562,0304
1,5		BCM57414 Ethernet 10/25Gb 2-port SFP28 Adapter for HPE	აშშ /HPE	ცალი	8	1 969,1722	15 753,3776
1,6		BCM57414 Ethernet 10/25Gb 2-port SFP28 OCP3 Adapter for HPE	აშშ /HPE	ცალი	8	2 047,8546	16 382,8368
1,7		HPE ProLiant DL36X Gen10 Plus High Performance Fan Kit	აშშ /HPE	ცალი	8	910,5116	7 284,0928
1,8		HPE 800W Flex Slot Platinum Hot Plug Low Halogen Power Supply Kit	აშშ /HPE	ცალი	16	871,1704	13 938,7264
1,9		HPE iLO Advanced 1-server License with 3yr Support on iLO Licensed Features	აშშ /HPE	ცალი	8	794,0456	6 352,3648
1,10		HPE 1U Gen10 Bezel Kit	აშშ /HPE	ცალი	8	127,0388	1 016,3104
1,11		HPE Trusted Platform Module 2.0 Gen10 Plus Black Rivets Kit	აშშ /HPE	ცალი	8	160,3384	1 282,7072
1,12		HPE ProLiant DL360 Gen10 Plus High Performance Heat Sink Kit	აშშ /HPE	ცალი	16	196,6352	3 146,1632
1,13		HPE ProLiant DL300 Gen10 Plus 1U SFF Easy Install Rail Kit	აშშ /HPE	ცალი	8	355,4396	2 843,5168
1,14		HPE Proliant DL360 Gen10+ Support	აშშ /HPE	ცალი	8	5 502,2338	44 017,8704
1,15		VMware vSphere Enterprise Plus 1 Processor 3yr E-LTU	აშშ /HPE	ცალი	16	10 337,4608	165 399,3728
1,16		VMware vCenter Server Standard for vSphere (per Instance) 3yr E- LTU	აშშ /HPE	ცალი	1	17 766,4458	17 766,4458
სულ გამოთვლითი კვანძები				კომპ	8		1 319 622,9690

2	**საცავი მასივი 2 კომპ**						
2,1		HPE Nimble Storage dHCI with Alletra 6000 Base Configuration Tracking	აშშ /HPE	ცალი	2	1,5222	3,0444
2,2		HPE Nimble Storage dHCI with Additional Custom ESXi 7.0 FIO Software	აშშ /HPE	ცალი	8	1,5222	12,1776
2,3		HPE Nimble Storage dHCI HW Install SVC	აშშ /HPE	ცალი	2	13 498,4330	26 996,8660
2,4		HPE 3Y Tech Care Essential Service	აშშ /HPE	ცალი	2	22 054,5658	44 109,1316
2,5		HPE Nimble Storage dHCI with Alletra 6030 Configure-toorder Base Array	აშშ /HPE	ცალი	2	110 460,6850	220 921,3700
2,6		HPE Alletra 6000 2x10/25GbE 2-port FIO Adapter Kit	აშშ /HPE	ცალი	4	9 730,9644	38 923,8576
2,7		HPE Alletra 6000 46TB (24x1.92TB) NVMe Flash Carrier FIO Flash Bundle	აშშ /HPE	ცალი	2	323 781,0496	647 562,0992
2,8		HPE C13 - C14 250V 10Amp 2m WW PDU FIO Power Cord	აშშ /HPE	ცალი	8	22,7032	181,6256
2,9	**საცავი მასივი**	HPE Alletra Tier 1 Storage Array Standard Tracking	აშშ /HPE	ცალი	2	1,5222	3,0444
2,10		HPE Alletra 6000 4x 1600W FIO AC Power Supply Kit	აშშ /HPE	ცალი	2	10 889,5238	21 779,0476
2,11		HPE NS dHCI NOS PG for ESXi 7.0 FIO SW	აშშ /HPE	ცალი	2	1,5222	3,0444
2,12		HPE Alletra Software and Support SaaS	აშშ /HPE	ცალი	2	22 054,5658	44 109,1316
2,13		3-year Subscription	აშშ /HPE	ცალი	340	302,4930	102 847,6200
2,14		HPE 3Y Tech Care Essential Service	აშშ /HPE	ცალი	2	22 054,5658	44 109,1316
2,15		HPE Alletra 6000 2x10/25GbE 2p Kit Supp	აშშ /HPE	ცალი	4	391,7364	1 566,9456
2,16		HPE Alletra 6030 Base Array Supp	აშშ /HPE	ცალი	2	4 873,0460	9 746,0920
2,17		HPE Alletra 6000 AF 46TB 1.92 Flash Supp	აშშ /HPE	ცალი	2	13 076,4886	26 152,9772
	სულ საცავი მასივი			**კომპ**		**2**	**1 229 027,2064**
3	**სარეზერვო სანახი 1 კომპ**						
3,1		HPE StoreOnce 3660 80TB Base System	აშშ /HPE	ცალი	1	154 443,3324	154 443,3324
3,2		HPE StoreOnce Gen4 Plus 10/25Gb 2-port SFP Adapter	აშშ /HPE	ცალი	2	6 177,7484	12 355,4968
3,3	**სარეზერვო სანახი**	HPE StoreOnce Gen4 10/25Gb SFP Network Card LTU	აშშ /HPE	ცალი	2	1,4868	2,9736
3,4		HPE StoreOnce Encryption E-LTU	აშშ /HPE	ცალი	1	1,4868	1,4868
3,5		HPE 3Y Tech Care Essential Service	აშშ /HPE	ცალი	1	22 054,5658	22 054,5658
3,6		HPE StoreOnce 3660 80TB Base System Supp	აშშ /HPE	ცალი	1	36 392,7576	36 392,7576
	სულ სარეზერვო სანახი			**კომპ**		**1**	**225 250,6130**

4	**კომუტატორი 4 კომპ**						
4,1	**კომუტატორი**	HPE SN2010M 25GbE 18SFP28 4QSFP28 Power to Connector Airflow Half Width Switch	აშშ /HPE	ცალი	4	38 726,9982	154 907,9928
4,2		HPE M-series 10GbE SFP+ SR MM 300m Transceiver	აშშ /HPE	ცალი	16	2 115,4686	33 847,4976
4,3		HPE 100Gb QSFP28/QSFP28 0.5m DAC	აშშ /HPE	ცალი	4	969,5706	3 878,2824
4,4		HPE QSFP28 to SFP28 Adapter	აშშ /HPE	ცალი	8	881,4010	7 051,2080
4,5		HPE SN2100M Rack Installation Kit	აშშ /HPE	ცალი	2	1 932,1320	3 864,2640
4,6		HPE 25Gb SFP28 to SFP28 3m Direct Attach Copper Cable	აშშ /HPE	ცალი	56	1 772,8320	99 278,5920
4,7		HPE SN2010M 25GbE Switch Support	აშშ /HPE	ცალი	4	3 795,5054	15 182,0216
	სულ კომუტატორი			**კომპ**	**4**		**318 009,8584**
5	**აქტიური-აქტიური DC ბრანდმაური 2 კომპ**						
5,1	**აქტიური-აქტიური DC ბრანდმაური**	Palo Alto Networks PA-3440 with redundant AC power supplies	აშშ/Palo Alto	ცალი	**2**	219 525,5362	439 051,0724
5,2		PA-3440, WildFire subscription, for one (1) device in an HA pair, 1 year (12 months) term.	აშშ/Palo Alto	ცალი	**2**	42 194,5226	84 389,0452
5,3		Advanced Threat Prevention subscription for device in an HA pair year 1, PA-3440	აშშ/Palo Alto	ცალი	**2**	64 633,8746	129 267,7492
5,4		Partner enabled premium support year 1, PA-3440	აშშ/Palo Alto	ცალი	**2**	65 524,0784	131 048,1568
	სულ აქტიური-აქტიური DC ბრანდმაური			**კომპ**	**2**		**783 756,0236**
6	**პასიური ინვენტარი**						
6,1	SFP+ SR ოპტიკური გამსხივებელი თავსებადი მოთხოვნილ აპარატურასთან	10GBase-SR SFP+ Transceiver, 10G 850nm MMF, up to 300 meters	ჩინეთი/10GTek	ცალი	30	29,0280	870,8400
6,2	SFP+ LR ოპტიკური გამსხივებელი თავსებადი მოთხოვნილ აპარატურასთან	10GBase-LR SFP+ 1310-nm, 10-km	ჩინეთი/10GTek	ცალი	20	67,7320	1 354,6400
6,3	SFP+ ZR ოპტიკური გამსხივებელი თავსებადი მოთხოვნილ აპარატურასთან	10GBase-ZR SFP+ Transceiver, 10G 1550nm SMF, up to 80 km	ჩინეთი/10GTek	ცალი	8	749,8900	5 999,1200
6,4	1G SFP-T ოპტიკური გამსხივებელი თავსებადი მოთხოვნილ აპარატურასთან	1.25G SFP 1000Base-T, Copper SFP-T, RJ-45 SFP	ჩინეთი/10GTek	ცალი	20	77,4080	1 548,1600

6,5	40/100 QSFP28 BASE - SR ოპტიკური გამსხივველებელი თავსებადი მოთხოვნილ აპარატურასთან	40GBase-SR4 QSFP+ Transceiver, for MMF 100/150 meters (MPO/MTP)	ჩინეთი/10GTek	ცალი	12	119,0148	1 428,1776
		100GBase-SR4 QSFP28 Transceiver for MMF, 70/100 meters (MPO/MTP)	ჩინეთი/10GTek	ცალი	12	174,1680	2 090,0160
		1m (3ft) MTP®-12 (Female) - MTP®-12 (Female) OM4 MM	ჩინეთი/10GTek	ცალი	12	203,1960	2 438,3520
6,6	OM3 1 მეტრიანი ოპტიკური პაჩკორდიMM	LC/UPC-LC/UPC MM OM3 Patch Cord, 1m	ჩინეთი/JUHUA Technology Inc	ცალი	20	13,5464	270,9280
6,7	OM3 5 მეტრიანი ოპტიკური პაჩკორდიMM	HT-LCMM2DX-5M LC/UPC-LC/UPC MM OM3 Patch Cord, 5M	ჩინეთი/JUHUA Technology Inc	ცალი	20	17,4168	348,3360
6,8	SM 5 მეტრიანი ოპტიკური პაჩკორდი	JHT-LCSM2DX-5M LC/UPC-LC/UPC SINGLE MODE DUPLEX PATCH CORD	ჩინეთი/JUHUA Technology Inc	ცალი	20	14,5140	290,2800
6,9	SM 15 მეტრიანი ოპტიკური პაჩკორდი	JHT-LCSM2DX-20M - LC/UPC-LC/UPC Single Mode Duplex Patch Cord, 20m	ჩინეთი/JUHUA Technology Inc	ცალი	10	29,0280	290,2800
სულ პასიური ინვენტარი							**16 929,1296**
7	**თანმდევი მომსახურება**	**X**					**100 300,0000**
მთლიანი ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)							**3 992 895,80**

„შემსყიდველი“:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში
გიორგი გელაშვილი

„მიმწოდებელი“:

შპს ,,ჯი-თი ჯგუფი"

დირექტორი
ლევანი ლემონჟავა

GT Group LTD

Digitally signed by GT Group LTD
Date: 2022.11.16 15:10:15 +04'00'

დანართი # 2

ტექნიკური დავალება:

სსე სერვერებისა და საცავის მოდერნიზაციის ტექნიკური მოთხოვნები

სსე სერვერებისა და საცავის პროექტი

აქტიური / აქტიური HCI

ზოგადი ტექნიკური მოთხოვნები

1. <u>ტენდერის სპეციფიკაცია HCI პლატფორმისთვის</u>

შემოთავაზებული ორი HCI (ჰიპერ-კონვერგენტული) სისტემა უნდა შედგებოდეს არანაკლებ ოთხი გამოთვლითი კვანძისგან, თითოეული უნდა მოიცავდეს არანაკლებ ერთ საცავ მასივსა და არანაკლებ ორ მაღალი გამტარუნარიანობის მქონე „ Ethernet “კომუტატორს.

2. <u>გამოთვლითი კვანძები</u>

ფორმ ფაქტორი: არაუმეტეს 1U Rack სამონტაჟო. უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასერვერო კარადაში განთავსებისათვის საჭირო კომპლექტით.

პროცესორი: არანაკლებ ორი უახლესი თაობის 24 ბირთვი, არანაკლებ 2.1 GHz საბაზო საათის სიჩქარის პროცესორი.

მეხსიერება: არანაკლებ 1,536 GB DDR4 რეგისტრირებული DIMM (RDIMM, რომელიც მუშაობს 3200 MT/s. მასშტაბირებადი 2.0 ტბ-მდე DDR4 რეგისტრირებული DIMM (RDIMM)-ის გამოყენებით, რომელიც მუშაობს 3200 MT/s სიჩქარით. სერვერს უნდა ჰქონდეს 8.0 ტბ-მდე მხარდაჭერა DDR4 დატვირთვის შემცირებული DIMM (LRDIMM) გამოყენებით, რომელიც მუშაობს 3200 MT/s-ზე.

- ერთ კლასტერს ჯამურად უნდა ჰქონდეს არანაკლებ ექვსი ტერაბიტი მეხსიერება, რომელიც სამომავლოდ უნდა იყოს გაზრდადი აპარატურული ცვლილების გარეშე.

მაკონტროლებელი: სერვერმა უნდა უზრუნველყოს არანაკლებ ორი M.2 დისკი OS Boot მოწყობილობა RAID 1 აპარატურით. (ESXi ოპერაციული სისტემის ჩასატვირთად)

ქსელი: არანაკლებ 2 x 10/25Gb ორ-პორტიანი SFP28 Ethernet ადაპტერი. სერვერს უნდა ჰქონდეს 100 გიგაბიტიანი პორტის ადაპტერების მხარდაჭერა.

ინტერფეისები: USB 3.0 მხარდაჭერა სულ 5-მდე: არანაკლებ 1 წინა, არანაკლებ 2 შიდა, არანაკლებ 2 უკანა. სერვერს უნდა ჰქონდეს სერიული ინტერფეისის მხარდაჭერა.

PCIe: სერვერს უნდა ჰქონდეს არანაკლებ სამი PCI-ექსპრეს 3.0 სლოტის მხარდაჭერა, არანაკლებ ორი x16 PCIe სლოტის მხარდაჭერა.

ელექტრომომარაგება: არანაკლებ ორი 800W შესაერთებელი სარეზერვო დაბალი ჰალოგენური კვების წყაროსთვის, არანაკლებ 94% ეფექტურობით.

გაგრილება: სარეზერვო ცხელი ჩართვის მაღალეფექტური ვენტილატორები.

ინდუსტრიის სტანდარტების შესაბამისობა: სერვერმა უნდა უზრუნველყოს ACPI 6.3 შესაბამისი; PCIe 4.0 თავსებადი; WOL მხარდაჭერა; Microsoft® ლოგოს სერთიფიკატები; PXE მხარდაჭერა; USB 3.0 თავსებადი; SMBIOS 3.2; Redfish API; IPMI 2.0; უსაფრხო ციფრული 4.0; TPM 1.2 და 2.0 მხარდაჭერა; დაშიფვრის გაფართოებული სტანდარტი (AES); მონაცემთა სამმაგი დაშიფვრის სტანდარტი (3DES); SNMP v3; TLS 1.2; DMTF სისტემების მართვის არქიტექტურა სერვერის აპარატურის ბრძანების ხაზისთვის (SMASH CLP); მოქმედი დირექტორია v1.0; ASHRAE A3/A4; UEFI (ერთიანი გაფართოებადი Firmware ინტერფეისის ფორუმი) 2.6;

სისტემის უსაფრთხოება: სერვერმა უნდა უზრუნველყოს UEFI Secure Boot და Secure Start მხარდაჭერა; ნდობის უცვლელი სილიკონის ფესვი; FIPS 140-2 ვალიდაცია; საერთო კრიტერიუმების სერტიფიცირება; კონფიგურირებადი PCI DSS შესაბამისობისთვის; დაშიფვრის გაფართოებული სტანდარტი (AES) და მონაცემთა სამმაგი დაშიფვრის სტანდარტი (3DES) ბრაუზერზე; კომერციული ეროვნული უსაფრთხოების ალგორითმები (CNSA); სერვერის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოების რეჟიმები; დეტალური კონტროლი სერვერის მართვის პროგრამულ ინტერფეისებზე; სმარტ ბარათი (PIV/CAC) და Kerberos-ზე დაფუძნებული 2-ფაქტორიანი ავთენტიფიკაცია; შეუფერხებელი განახლებები - კომპონენტები ციფრულად ხელმოწერილი და დამოწმებული; უსაფრთხო აღდგენა - კრიტიკული პროგრამული უზრუნველყოფის აღდგენა ცნობილ კარგ მდგომარეობაში კომპრომეტირებული FW-ის გამოვლენისას; პროგრამული უზრუნველყოფის დაბრუნების შესაძლებლობა; NAND-ის უსაფრთხო წაშლა; TPM (სანდო პლატფორმის მოდული);

ოპერაციული სისტემა: სერვერმა უნდა უზრუნველყოს უახლესი ოპერაციული სისტემები და ვირტუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა - Microsoft Windows Server; Red Hat Enterprise Linux (RHEL); SUSE Linux Enterprise სერვერი (SLES); VMware.

ჩაშენებული დისტანციური მართვა და პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოება:

- სისტემის დისტანციურმა მართვამ უნდა უზუნველყოს ბრაუზერზე დაფუძნებული გრაფიკული დისტანციური კონსოლი ვირტუალური ჩართვის ღილაკთან ერთად, დისტანციური ჩატვირთვა USB/CD/DVD დისკის გამოყენებით. მას უნდა შეეძლოს დისტანციური კლიენტიდან პროგრამული უზრუნველყოფის და პატჩების განახლება მედიის/სურათის/საქაღალდის გამოყენებით და უნდა ჰქონდეს მულტიფაქტორიანი ავთენტიფიკაციის მხარდაჭერა.

- სერვერს უნდა ჰქონდეს სპეციალური 1 გბ/წმ დისტანციური მართვის პორტი.
- სერვერს უნდა ჰქონდეს შესაბამისი საცავი, რომელიც გამოყენებული იქნება firmware-ის, დრაივერებისა და პროგრამული კომპონენტების შენახვისთვის. კომპონენტების ორგანიზება შესაძლებელია კომპლექტების დასაყენებლად და მათი გამოყენება შესაძლებელია გაუმართავი პროგრამული უზრუნველყოფის აღდგენა/გასწორებისთვის.
- სერვერმა უნდა უზრუნველყოს აგენტის გარეშე მართვა დისტანციური მართვის პორტის გამოყენებით.
- სერვერმა უნდა უზრუნველყოს სერვერის აპარატურისა და სისტემის კონფიგურაციის ცვლილებების მონიტორინგი და ჩაწერა. მისი დახმარებით შესაძლებელი უნდა იყოს პრობლემების დიაგნოსტირება და სწრაფი გადაწყვეტის მიწოდება სისტემის გაუმართაობის დროს.
- ხელმისაწვდომი უნდა იყოს სერვერზე დისტანციური წვდომის პროგრამები Android ან Apple IOS-ზე დაფუძნებული პოპულარული ხელის მოწყობილობების გამოყენებით.
- დისტანციური კონსოლის გაზიარება ერთდროულად 6-მდე მომხმარებლის ოპერაციული სისტემის მუშაობის დაწყებამდე და მუშაობის დროს. Microsoft Terminal Services Integration, 128-bit SSL დაშიფვრა და Secure Shell Version 2 მხარდაჭერა. უნდა უზრუნველყოს AES და 3DES მხარდაჭერა ბრაუზერზე. უნდა უზრუნველყოს დისტანციური პროგრამული უზრუნველყოფის განახლების ფუნქცია. უნდა უზრუნველყოს Java უფასო გრაფიკული დისტანციური კონსოლის მხარდაჭერა.
- მხარდაჭერილი უნდა იყოს მრავალი სერვერის მართვა - Group Power Control-ის მეშვეობით; ჯგუფური სიმძლავრის დაფარვა; ჯგუფური პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; ჯგუფის კონფიგურაცია; ჯგუფის ვირტუალური მედია და დაშიფრული ვირტუალური მედია; ჯგუფური ლიცენზიის გააქტიურება.
- უნდა ჰქონდეს RESTful API ინტეგრაციის მხარდაჭერა.
- სისტემამ უნდა უზრუნველყოს ჩაშენებული დისტანციური მხარდაჭერა, რათა გადასცეს ტექნიკის მოვლენები პირდაპირ OEM-ზე ან ავტორიზებულ პარტნიორზე სახლის ავტომატური ტელეფონის მხარდაჭერისთვის.
- სერვერს უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების დაფა: რომელიც აჩვენებს უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფუნქციების სტატუსს, სისტემის უსაფრთხოების საერთო სტატუსსა და უსაფრთხოების მდგომარეობისა და სერვერის კონფიგურაციის დაბლოკვის ფუნქციების მიმდინარე კონფიგურაციას.
- შესაძლებელი უნდა იყოს ერთი ღილაკით უსაფრთხო წაშლა, რომელიც შექმნილია სერვერების ექსპლუატაციის შეწყვეტისა და გადაყენებისთვის.
- უნდა გააჩნდეს - მრჩეველი სამუშაო დატვირთვის შესახებ - სერვერის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

3. <u>საცავი მასივი</u>

შემოთავაზებული საცავის სისტემა უნდა იყოს მხოლოდ All Flash - NVMe მასივი და დაფუძნებული უნდა იყოს უახლესი თაობის PCI Gen4 ტექნოლოგიაზე

შემოთავაზებული საცავი უნდა იყოს ფლაგმანი All NVMe - Flash მასივი ორგანიზაციისგან და მკაფიოდ იყოს აღნიშნული მათ ვებსაიტზე.

ოპერაციული სისტემა და კლასტერული მხარდაჭერა:

საცავის მასივი მხარს უნდა უჭერდეს ინდუსტრიის მოწინავე ოპერაციული სისტემის პლატფორმებს და კლასტერულ მართვას, მათ შორის Windows Server 2016 & 2019, VMware 6.x & 7.x, Linux და UNIX ოპერაციული სისტემას.

ტევადობა და მასშტაბურობა:

- მეხსიერების მასივი უნდა იყოს შემოთავაზებული არანაკლებ 32TB გამოსაყენებელი სიმძლავრით, არანაკლებ x24, 1.92TB დისკების გამოყენებით.
- შემოთავაზებული საცავის მასივი უნდა იყოს მოქნილი როგორც ვერტიკალური მასშტაბის, ასევე ჰორიზონტალური მასშტაბის შემთხვევაში მასივის ჩაშენებული პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერით კლასტერული ტექნოლოგიის გამოყენებით.
- შემოთავაზებული საცავის მასივი უნდა იყოს მასშტაბირებადი არანაკლებ 24 NVMe Flash დისკზე მოცემული კონტროლერის წყვილის შასის ფარგლებში და მომავალში შესაძლებელი იყოს 72 NVMe დისკამდე, დისკის დამატებითი შიგთავსის გამოყენებისას გაფართოების გარემოში.
- ჰორიზონტალური მასშტაბის ტექნოლოგია უნდა სცილდებოდეს ფედერაციულ ტექნოლოგიას, სადაც მას უნდა შეეძლოს მოცულობის ზოლის გადატანა ყველა მასშტაბური შენახვის კონტროლერზე.

ქეში:

- შემოთავაზებული საცავის მასივი უნდა იყოს მიწოდებული არანაკლებ 128 გბ ქეშით/მეხსიერებით თითო კონტროლერზე წაკითხვისა და ჩაწერის ოპერაციებისთვის.
- ჩაწერის ოპერაციები მთლიანად დაცული უნდა იყოს და არ უნდა მოხდეს მონაცემთა დაკარგვა ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში. ეს მექანიზმი არ უნდა იყოს დამოკიდებული ბატარეებზე.

მასპინძელი პორტები:

- შემოთავაზებული საცავის მასივი მიწოდებული უნდა იყოს არანაკლებ ორმაგი კონტროლერებით და არანაკლებ 8 x 1 გბიტი/წმ IP და არანაკლებ 8 x 10/25 გბ/წმ IP პორტებით. ყველა შემოთავაზებულ ბარათს უნდა შეეძლოს იმუშაოს ხაზის სიჩქარეზე.
- ოპტიმალური მუშაობისთვის – თითოეულ საბოლოო PCI სლოტს უნდა ჰქონდეს PCI Gen4 ან 16 გბ/წმ სიჩქარის არანაკლებ 8 ზოლი.
- შემოთავაზებულ საცავის მასივს ასევე უნდა ჰქონდეს 10Gbps და 100Gbps IP პორტების მხარდაჭერა.

- **გლობალური ცხელი რეზერვირება:** შემოთავაზებული საცავის მასივი მხარს უნდა უჭერდეს განაწილებულ გლობალურ ცხელი რეზერვირების დისკებს შემოთავაზებული დისკებისთვის. გლობალური ცხელი რეზერვირება კონფიგურირებული უნდა იყოს ინდუსტრიის პრაქტიკის მიხედვით.

თხელი უზრუნველყოფა და სივრცის ოპტიმიზაცია:

- შემოთავაზებულმა საცავმა უნდა უზრუნველყოს შენახვის ეფექტურობის კრიტიკული მახასიათებლები - შიდა დე-დუბლიკაცია, შეკუმშვა, თხელი უზრუნველყოფა კონტროლერის დონეზე.
- შემოთავაზებულმა საცავმა უნდა უზრუნველყოს როგორც არადუბლირებული, ასევე დუბლირებული მოცულობა ერთდროულად მასივის შიგნით.
- შემოთავაზებულმა საცავმა უნდა უზრუნველყოს როგორც შეუკუმშველი, ასევე შეკუმშული მოცულობები ერთდროულად მასივის შიგნით.
- შემოთავაზებულ საცავს უნდა ჰქონდეს დომენების კატეგორიზაცია სხვადასხვა დატვირთვის აპლიკაციისთვის ეფექტური დედუბლირებისა და შეკუმშვისთვის. მაგალითად - უნდა ჰქონდეს მონაცემთა ბაზის ერთ დომენში ან დაცვის ჯგუფში ჩატვირთვის და ვირტუალური აპლიკაციის სხვა დომენში ან დაცვის ჯგუფში ჩატვირთვის შესაძლებლობა ეფექტური დედუბლირებისა და შეკუმშვისთვის.

მყისიერი ფოტოგრაფირება / დროის მომენტის ამსახველი ასლი: შემოთავაზებული შენახვის მასივი მხარს უნდა უჭერდეს 1000-ზე მეტ სნეპშოტს LUN/მოცულობით. მომწოდებელმა უნდა გამოიყენოს ეფექტური შესრულების ტექნოლოგია, როგორიცაა გადამისამართება ჩაწერაზე ან უკეთესი ვერსია.

ინტეგრაცია - VMware: შემოთავაზებული საცავის მასივი მჭიდროდ უნდა იყოს ინტეგრირებული VMware-თან და დამოწმებული უნდა იყოს VVOL-ისთვის:

- უნდა იყოს სერტიფიცირებული vVol-ზე დაფუძნებული რეპლიკაციისთვის.
- ხელი უნდა შეუწყოს როგორც შეკუმშვას, ასევე დედუბლირებას.
- უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია, რომ იმუშაოს როგორც ოპტიკურ ბოჭკოვან (FC) არხთან, ასევე ISCSI-თან.
- მხარი დაუჭიროს დაგეგმილ მყისიერ ფოტოგრაფირებას და მომსახურების ხარისხს.
- მხარი დაუჭიროს დაშიფვრას.

წარუმატებლობის და შესრულების ერთი წერტილი:

- შემოთავაზებული საცავის მასივი უნდა იყოს კონფიგურირებული კონფიგურაციის ერთ წერტილში, მასივის კონტროლერის ბარათის, ქეშის მეხსიერების, ვენტილატორის, კვების წყაროს ჩათვლით.
- არ უნდა მოხდეს შესრულების დეგრადაცია ერთი კომპონენტის ან კონტროლერის გაუმართაობის გამო.

დისკის დრაივერის მხარდაჭერა და დაშიფვრა:

- შემოთავაზებული საცავის მასივი მხარს უნდა უჭერდეს NVMe ფლეშ დრაივების სხვადასხვა ტევადობას.
- შემოთავაზებული საცავის მასივი მიწოდებული უნდა იყოს AES-256 XTS FIPS სერტიფიცირებული დაშიფვრით დეტალურ LUN დონეზე დაშიფრული NVMe ფლეშ დრაივების გამოყენების გარეშე.

რეიდის მხარდაჭერა:

- შემოთავაზებული საცავის მასივი უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისკის დრაივერის გაუმართაობისგან ერთდროულად სამი დამცავი საშუალებით.
- დისკის მაქსიმალური სიმძლავრის მისაღწევად - გადაწყვეტილებას უნდა გააჩნდეს მოქნილობა, რათა მოათავსოს ყველა შემოთავაზებული დისკი ერთ დრაივერზე.

ხელმისაწვდომობა:

- შემოთავაზებული საცავის მასივი უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს ხელმისაწვდომობას არანაკლებ 99,9999% ან უკეთესი მაჩვენებლით და არ უნდა ჰქონდეს გაუმართაობის არც ერთი წერტილი.
- არ უნდა მოხდეს შესრულების დეგრადაცია ერთი კომპონენტის ან კონტროლერის გაუმართაობის გამო.
- არ უნდა მოხდეს შესრულების დეგრადაცია კრიტიკული მხარდაჭერის აქტივობების დროს, როგორიცაა Firmware-ის განახლება, პატჩის განახლება.

4. ქსელი

არქიტექტურა:

- არაუმეტეს 1U ნახევარი სიგანის, თაროზე დასამაგრებელი, შესაფერისი სტანდარტული 19 დიუმიანი თაროებისთვის, საჭირო ორმაგი, გვერდიგვერდ განლაგების სამონტაჟო ნაკრებითა და AC დენის კაბელით. (უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასერვერო კარადაში განთავსებისათვის საჭირო კომპლექტით).
- არანაკლებ 18-პორტიანი 1/10/25 გბ SFP28 და 4-პორტიანი 40/100 გბ QSFP28.
- არანაკლებ 1-პორტიანი კონსოლი/სერიული კაბელით, არანაკლებ 1-პორტიანი მინი-USB და არანაკლებ 1-პორტიანი OOB 1 გბ Ethernet მართვით.
- არანაკლებ ორმაგი სარეზერვო AC კვების წყარო.
- არანაკლებ ორმაგი სარეზერვო ვენტილატორი.
- არანაკლებ 8 GB სისტემური მეხსიერება (RAM) და არანაკლებ 16 GB Flash/SSD
- არანაკლებ 16 მბ სისტემური ბუფერი.
- არანაკლებ 300ns დაყოვნება.
- არანაკლებ 1.7 Tbps კომუტაციის წარმადობა.
- არანაკლებ 1.26 Bpps გადამისამართების/დამუშავების სიმძლავრე.

მონაცემთა ცენტრის მახასიათებლები:

- პირდაპირი, ასევე შენახვის და გადატანის შესრულების არქიტექტურა.
- გიგანტური ჩარჩოების ზომები 9216 ბაიტამდე.
- VXLAN, VxLAN EVPN, VxLAN აპარატურა VTEP
- VMware NSX ინტეგრაცია არანაკლებ 1000 VNI'-მდე.
- ღია წვდომის მქონე(Openstack) მზა ინტეგრაცია.
- ვირტუალური მარშრუტიზაციისა და გადამისამართების ფუნქციები (VRFs), არანაკლებ 64-მდე VRF ინსტანცია.
- ღია ნაკადი(openflow) 1.3 ან ექვივალენტი SDN კონტროლერის მხარდაჭერით. უნდა ჰქონდეს ჰიბრიდული რეჟიმის მხარდაჭერა.
- IEEE 1588 PTP.
- ფაბრიკის ავტომატური კონფიგურაცია ისეთი ხელსაწყოების გამოყენებით, როგორიცაა Ansible, SaltStack, ZTP და Puppet.

გადართვის მახასიათებლები:

- 802.1Q VLAN, Voice VLAN, QinQ.
- RSTP, MSTP, RPVST, BPDU Filter & Guard, Loop Guard, Root Guard.
- VRRP, LAG, MLAG, LACP.
- მრავალფუნქციური კარიბჭე (MAGP)
- ინტერფეისი და პორტის იზოლაცია, LLDP,
- IGMP v3, IGMP snooping, PIM-SM და PIM-SSM
- სტატიკური მარშრუტი, OSPF, BGP, BFD, ECMP (არანაკლებ 64 გზა)

უსაფრთხოების მახასიათებლები:

- RADIUS, TACACS+ & LDAP
- FIPS 140-2 სისტემის უსაფრთხოება და NIST 800-181A შესაბამისობა.
- წვდომის კონტროლის სიები (ACLs L2-L4 და მომხმარებლის მიერ განსაზღვრული), 802.1X- პორტზე დაფუძნებული ქსელის წვდომის კონტროლი.
- CoPP, პორტის იზოლაცია

მართვა

- მრავალი კონფიგურაციის ფაილი, რომელიც ინახება ფლეშ/SSD საცავში, ZTP.
- sFlow (RFC 3176)/ექვივალენტი, JSON, CLI, WEB/GUI, SSH, Telnet.
- SNMPv3, NTP/SNTP, FTP/TFTP/SCP.
- პორტის სარკისებური ასახვა (SPAN & RSPAN), BER მონიტორინგი, ძირეული მიზეზების ანალიზი, ტელემეტრია, რეალურ დროში რიგის სიღრმის ჰისტოგრამები და ზღურბლები.

გადამცემები/DAC, თითოეული ობიექტისთვის:

- არანაკლებ 2x 100 გბ QSFP28/QSFP28 0,5 მ DAC.
- არანაკლებ 24x 25Gb SFP28-დან SFP28-მდე 3m DAC.
- არანაკლებ 8x 10GbE SFP+ მოკლე დიაპაზონის გადამცემი.
- არანაკლებ 4x QSFP/SFP+ ადაპტერი

5. Backup სისტემის მოთხოვნები:

შემოთავაზებული Backup სისტემის სანახი უნდა იყოს თავსებადი ამჟამად სსე-ს ინფრასტრუქტურაში მყოფ HPE Store Once 5200 გადაწყვეტილებასთან. უნდა გააჩნდეს მაღალი დედუბლიკაცია-კომპრესია.

ფიზიკური მოთხოვნები:

ფორმ ფაქტორი არანაკლებ 2U	Rack Mountable; უნდა იყოს უზრუნველყოფილი სასერვერო კარადაში განთავსებისათვის საჭირო კომპლექტით
Storage Capacity	80 TB raw, 56 TB useable
Data Transfer Rate	არანაკლებ 2 x 10/25Gb 2-port SFP Adapter
Raid ის მხარდაჭერა	RAID 5 or 6
